ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მათემატიკის დეპარტამენტი

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: მათემატიკა

მედეა იორდანიშვილი

ამონახსნის წარმოდგენის ლოკალური ფორმულები და ოპტიმიზაციის ამოცანები სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის შერეული საწყისი პირობით

მათემატიკაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

თამაზ თადუმაძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლელა ალხაზიშვილი - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი

თბილისი 2023

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Exact and Natural Sciences

Department of Mathematics

Name of Doctoral Program: Mathematics

Medea Iordanishvili

Local Representation Formulas of Solution And Optimization Problems for The Controlled Functional-Differential Equation with The Mixed Initial Condition

A thesis submitted for the degree of PhD in Mathematics

Scientific advisers:

Tamaz Tadumadze – Doctor of Physical Mathematical Sciences, Professor

Lela Alkhazishvili – Candidate of Physical Mathematical sciences, Acc. Professor

Tbilisi 2023

აბსტრაქტი

ნაშრომი, ეხება ამონახსნის წარმოდგენის ფორმულებსა და ოპტიმიზაციის ამოცანებს არაწრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის შერეული საწყისი პირობით და ორი ტიპის მართვით. ნაშრომის პირველ ნაწილში, სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამონახსნის წარმოდგენის ლოკალური ფორმულები, პირველად, დამტკიცებულია საწყისი მონაცემების ახალი კლასისთვის. საწყისი მომენტისა და დაგვიანების პარამეტრების ვარიაციათა სხვადასხვა შემთხვევისთვის დადგენილია: ამონახსნის წარმოდგენის ფორმულების მთავარი ნაწილის-ამონახსნის პირველი ვარიაციის ანალიზური სახე; ამონახსნის ნაზრდის რიგი საწყისი მონაცემების შეშფოთების მიმართ, რომელიც არსებითად გამოიყენება ამონახსნის წარმოდგენის ფორმულების დამტკიცებისას; სახე წრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისა ვარიაციებში, რომელსაც აკმაყოფილებს ამონახსნის პირველი ვარიაცია. ანალიზური სახით აგებულია შეშფოთებული განტოლების მიახლოებითი ამონახსნი. მიღებული შედეგები დაკონკრეტებულია წრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის. ფორმულებში გამოვლენილია საწყისი მონაცემების შეშფოთებისა და შერეული საწყისი პირობის ეფექტები. საწყისი მონაცემების ქვეშ იგულისხმება საწყისი მომენტის, დაგვიანების პარამეტრების, საწყისი ვექტორის, საწყისი და მართვის ფუნქციების ერთობლიობა. შერეული საწყისი პირობა ნიშნავს, რომ საწყის მომენტში ტრაექტორიის კოორდინატების ნაწილის მნიშვნელობა არ ემთხვევა შესაბამისი საწყისი ფუნქციის მნიშვნელობას ე. ი. ადგილი აქვს წყვეტას, ხოლო-დარჩენილი ნაწილის მნიშვნელობა ემთხვევა შესაბამისი საწყისი ფუნქციის მნიშვნელობას ე. ი. ადგილი აქვს უწყვეტობას. ამონახსნის წარმოდგენის ფორმულები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ოპტიმალურობის აუცილებელი პირობების დამტკიცებისას. ნაშრომის მეორე ნაწილში, ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის, ორი ტიპის მართვით და შერეული საწყისი პირობით, განხილულია ოპტიმიზაციის ამოცანა ზოგადი სასაზღვრო პირობებით და ფუნქციონალით. ამონახსნის წარმოდგენის ფორმულების საფუძველზე, საწყისი-საბოლოო მომენტების და დაგვიანების პარამეტრების ვარიაციათა სხვადასხვა კომბინაციისთვის, დამტკიცებულია საწყისი და საბოლოო მომენტების, დაგვიანების პარამეტრების, საწყისი ვექტორის,

საწყისი და მართვის ფუნქციების ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები. მიღებული შედეგები დაკონკრეტებულია ოპტიმალური ამოცანისთვის დამაგრებული ბოლოებით და ინტეგრალური ფუნქციონალით, სწრაფქმედების და წრფივი ამოცანებისთვის. გარდა ამისა, განხილულია ოპტიმალური ამოცანა საბაზრო ურთიერთობის მოდელისთვის, რომლისთვისაც მიღებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები.

Abstract

The work concerned with the presentation formulas of the solution and optimization problems for the nonlinear functional differential equation with the mixed initial condition and two types controls. In the first part of the work, the fact that the local formulas of the solution presentation are proved for the first time for a new class of initial data is a novelty. For various cases of variations of the initial moment and delay parameters are established: the analytical form of the main part-of the first variation of the solution; the order of solution increments with respect to the initial data perturbations, which is essentially used in the proof of the formulas for the solution presentation; the form of the linear functional-differential equation in variations, which satisfies the first variation of solution. An approximate solution of the perturbed equation is constructed in the analytical form. The obtained results are specified for the linear functional differential equation. The effects of initial data perturbation and mixed initial condition are identified in the formulas. Under the initial data is meant a set of initial moment, delay parameters, initial vector, initial and control functions. Under the initial data we mean a set of initial moment, delay parameters, initial vector, initial and control functions. A mixed initial condition means that at the initial moment the value of the part of the trajectory coordinates does not coincide with the value of the corresponding initial function i. e. take place discontinuity and the value of the remaining part coincides with the value of the corresponding initial function i. e. take place continuity. The presentation formulas of the solution play an important role in proving the necessary optimality conditions. In the second part of the work, for the functional differential equation with two types controls and mixed initial condition, the optimization problem with general boundary conditions and functional is considered. On the bases of presentation formulas of the solution, the necessary conditions of optimality for initial and final moments, delay parameters, initial vector, initial and control functions are proved for various combinations of variations of initial-final moments and delay parameters. The obtained results are specified for the optimal problem with fixed ends and integral functional, time optimal and linear problems. Besides, the optimal problem for the market relationship model is discussed, for which the necessary conditions of optimality are obtained.

შინაარსი

შესავალი

ცნობილია, რომ სამართი სისტემები რომელთა ყოფაქცევა მოცემულ მომენტში დამოკიდებულია სისტემის მდგომარეობაზე წარსულში, აღიწერებიან დაგვიანების შემცველი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებით [17, 25, 33, 38, 39, 43, 44, 57]. საილუსტრაციოდ განვიხილოთ საბაზრო ურთიერთობის თეორიული მოდელი. ვთქვათ, i_1 და i_2 საქონლის დასამზადებლად საჭიროა x^1 და x^2 სახის ნედლეული, რომელთა კონცენტრაცია $t \in [t_0, t_1]$ მომენტში არის $x^1 = x^1(t)$ და $x^2 = x^2(t)$. ვთქვათ ამ კონცენტრაციების დინამიკა აღიწერება დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით

$$\begin{cases} \dot{x}^1(t) = ax^1(t) + bx^2(t), \\ \dot{x}^2(t) = cx^1(t) + dx^2(t). \end{cases}$$

დავუშვათ, საბაზრო ურთიერთობა მოთხოვნა და მიწოდება i_1 საქონლისთვის აღიწერება $D_1(t,\omega)$ და $S_1(t,x^1,x^2,u)$ ფუნქციებით, ხოლო i_2 საქონლისთვის აღიწერება $D_2(t,w)$ და $S_2(t,x^1,x^2,v)$ ფუნქციებით. ვთქვათ, t მომენტში i_1 საქონლის ღირებულება არის $u(t)$, ხოლო i_2 საქონლის ღირებულება- $v(t)$. ვიგულისხმოთ, რომ t მომენტში უნდა დაკმაყოფილდეს: ა) მოთხოვნა i_1 საქონელზე, რომელიც შეკვეთილი იყო $t-\rho$ მომენტში, სადაც $\rho > 0$; ბ) მოთხოვნა i_2 საქონელზე, რომელიც შეკვეთილი იყო $t-\theta$ მომენტში, სადაც $\theta > 0$.

ფუნქციას

$$E_1(t) = D_1(t, u(t-\rho)) - S_1(t, x^1(t-\tau), x^2(t-\sigma), u(t))$$

ეწოდება დისბალანსის ინდექსი i_1 საქონლისთვის. $D_1(t,u(t-\rho))$ მიუთითებს $t-\rho$ მომენტებში შეკვეთილი i_1 საქონლის რაოდენობას, ხოლო

$$S_1(t, x^1(t-\tau), x^2(t-\sigma), u(t))$$

მიუთითებს t მომენტში მიწოდებული i_1 საქონლის რაოდენობას, რომლის დასამზადებლად საჭიროა $t-\tau$ მომენტში გამოყოფილი $x^1(t-\tau)$ რაოდენობის ნედლეული, სადაც $\tau > 0$, ხოლო $t-\sigma$ მომენტში, სადაც $\sigma > 0$ - $x^2(t-\sigma)$ რაოდენობის ნედლეული. აქ გათვალისწინებულია ის გარემომება, რომ ნედლეულის გამოყოფიდან საქონლის დამზადება ხდება გარკვეული დროის შემდეგ. ანალოგიურად,

$$E_2(t) = D_2(t, v(t-\theta)) - S_2(t, x^1(t-\tau), x^2(t-\sigma), v(t))$$

ფუნქციას ეწოდება დისბალანსის ინდექსი i_2 საქონლისთვის. $D_2(t, v(t-\theta))$ მიუთითებს $t-\theta$ მომენტებში შეკვეთილი i_2 საქონლის რაოდენობას, ხოლო

$$S_2(t, x^1(t-\tau), x^2(t-\sigma), v(t))$$

მიუთითებს t მომენტში მიწოდებული i_2 საქონელის რაოდენობას, რომლის დასამზადებლად საჭიროა $t-\tau$ მომენტში გამოყოფილი $x^1(t-\tau)$ რაოდენობის ნედლეული, ხოლო $t-\sigma$ მომენტში- $x^2(t-\sigma)$ რაოდენობის ნედლეული. თუ $E_1(t) = 0$, მაშინ ადგილი არა აქვს დისბალანსს, ე. ი. t მომენტში მომხმარებელს მიეწოდება i_1 საქონლის მოთხოვნილი რაოდენობა. თუ $E_1(t) > 0,$ მაშინ მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას. თუ $E_1(t) < 0,$ მაშინ მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას. ანალოგიურად განიხილება შემთხვევები i_2 საქონლისთვის. დროში დისბალანსის დინამიკის დახასიათების მიზნით $t \in [t_0, t_1]$ მომენტისთვის შემოვიღოთ დისბალანსის ინტეგრალური ინდექსები

$$x^3(t) = x_0^3 + \int_{t_0}^{t} \{D_1(\xi, u(\xi-\rho)) - S_1(\xi, x^1(\xi-\tau), x^2(\xi-\sigma), u(\xi))\} d\xi, x_0^3 = E_1(t_0).$$

$$x^4(t) = x_0^4 + \int_{t_0}^{t} \{D_2(\xi, v(\xi-\theta)) - S_2(\xi, x^1(\xi-\tau), x^2(\xi-\sigma), v(\xi))\} d\xi, x_0^4 = E_2(t_0).$$

ამრიგად, ზემოაღნიშნულ პირობებში, საბაზრო ურთიერთობა შეგვიძლია დავახასი-ათოთ ფაზურ კოორდინატებსა და მართვებში დაგვიანების შემცველი ფუნქციონა-ლურ-დიფერენციალური განტოლებათა სისტემით

$$
\begin{cases}
\dot{x}^1(t) = ax^1(t) + bx^2(t), \\
\dot{x}^2(t) = cx^1(t) + bx^2(t), \\
\dot{x}^3(t) = D_1(t, u(t-\rho)) - S_1(t, x^1(t-\tau), x^2(t-\sigma), u(t)), \\
\dot{x}^4(t) = D_2(t, v(t-\theta)) - S_2(t, x^1(t-\tau), x^2(t-\sigma), v(t)).
\end{cases} \tag{1}
$$

სადისერტაციო ნაშრომში, სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის

$$
\dot{x}(t) = (\dot{p}(t), \dot{q}(t))^T = f(t, x(t), p(t-\tau), q(t-\sigma), u(t), u(t-\rho), v(t), v(t-\theta)),\ x(t) \in R^n \tag{2}
$$

შერეული საწყისი პირობით

$$
x(t) = (p(t), q(t))^T = (\varphi(t), g(t))^T,\ t < t_0,\ x(t_0) = (p_0, g(t_0))^T. \tag{3}
$$

განხილულია პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ამონახსნის წარმოდგენის ფორმულებთან (თავი 1) და ოპტიმიზაციის ამოცანებთან (თავი 2). აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ თავებში მიღებული შედეგები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. სახელდობრ, მე-2 თავის ძირითადი შედეგები, ელემენტის ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები, არსებითად ეყრდნობა პირველ თავში მიღებულ ამონახსნის წარმოდგენის ფორმულებს. სხვადასხვა კლასის ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისა და მათი შესაბამისი ოპტიმიზაციის ამოცანების გამოკვლევას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მათ შორისაა ნაშრომები: არუთინოვი და მარდანოვი [6]; ბეიკერი [8]; ბენქსი [9]; ბეკლარიანი [10]; ბელმანი და კუკი [11]; ბოჩია და ვინტერი [12]; დრაივერი [13]; ელსგოლცი და ნორკინი [18]; გაბასოვი და კირილოვა [19]; გოლმანი და მაურერი [22]; ჰალანაი [23, 24]; ჰეილი [25]; კოლმანოვსკი და მიშკისი [38, 39]; მანიტიუსი [43]; მარდანოვი, მანსიმოვი და მელიქოვი [45]; მიშკისი [47]; მორდუხოვიჩი [48]; ნოიშტადტი [49]; ოგუსტორელი [50]; ვარგა [60]; ალხაზიშვილი [1]; აშორდია [7]; გორგოძე [21]; დვალიშვილი და რამიშვილი [14]; თადუმაძე [53, 55, 57]; თადუმაძე და ალხაზიშვილი [54]; თადუმაძე და შავაძე [58]; კიღურაძე და პუჟა [37]; კოპლატაძე [40]; მაჩაიძე [41]; მარკოზაშვილი [46]; შავაძე [51, 52]; ხარატიშვილი [32]; ხარატიშვილი და თადუმაძე [34-36] და სხვა.

ქვემოთ, თავების მიხედვით მოკლედ იქნება აღწერილი სადისერტაციო ნაშრომში მიღებული შედეგები.

თავი 1: (3) პირობას ეწოდება შერეული საწყისი პირობა, რადგანაც იგი შედგება ორი ნაწილისგან: პირველი-წყვეტილი ნაწილი $p(t) = \varphi(t),\ t < t_0$, $p(t_0) = p_0$, სადაც საზოგადოდ $\varphi(t_0) \neq p_0$. წყვეტილობა საწყის მომენტში შეიძლება დაკავშირებული იყოს დინამიური პროცესის მყისიერ ცვლილებასთან (ინვესტიციის, გარემო პირობების, ვირუსების კონცენტრაციის და ა. შ. ცვლილება); მეორე- უწყვეტი ნაწილი $q(t) = g(t), t \le t_0$, რადგანაც ყოველთვის $q(t_0) = g(t_0)$.

(2)-(3) ამოცანას ვუწოდოთ

$$\mu = (t_0, \tau, \sigma, \theta, p_0, \varphi(t), g(t), u(t), v(t))$$

ელემენტის შესაბამისი კოშის ამოცანა.

$$\mu_0 = (t_{00}, \tau_0, \sigma_0, \theta_0, p_{00}, \varphi_0(t), g_0(t), u_0(t), v_0(t))$$

ეწოდება საწყისი ელემენტი, ხოლო მის შესაბამის ამოცანას

$$\dot{x}(t) = f(t, x(t), p(t-\tau_0), q(t-\sigma_0), u_0(t), u_0(t-\rho), v_0(t), v_0(t-\theta_0)), \qquad (4)$$

$$x(t) = (\varphi_0(t), g_0(t))^T,\ t < t_{00},\ x(t_{00}) = (p_{00}, g(t_{00}))^T. \qquad (5)$$

ეწოდება საწყისი ამოცანა. $\delta\mu = \mu - \mu_0$ ეწოდება μ_0 ელემენტის ვარიაცია, ცხადია $\mu = \mu_0 + \delta\mu$. ამრიგად, $\mu = \mu_0 + \delta\mu$ ელემენტი მიიღება μ_0 ელემენტის შეშფოთებით ანუ (2)-(3) ამოცანა მიიღება (4)-(5) ამოცანის შეშფოთებით. ვთქვათ t_{10} რაიმე ინტერვალის ბოლო წერტილია და t_{10} წერტილის მიდამოში არსებობს თავდაპირველი (4)-(5) და შეშფოთებული (2)-(3) ამოცანების ამონახსნები, შესაბამისად, $x(t;\mu_0)$ და $x(t;\mu_0+\delta\mu)$. მცირე $\delta\mu$ ვარიაციის პირობებში (სიმცირის შესახებ იხ. პუნქტი 1.1), დამტკიცებულია $x(t;\mu_0+\delta\mu)$ ამონახსნის წარმოდგენის ფორმულები t_{10} წერტილის მიდამოში. სახელდობრ, დამტკიცებულია შემდეგი წარმოდგენა

$$x(t;\mu_0+\delta\mu) = x(t;\mu_0) + \delta x(t;\delta\mu) + o(t;\delta\mu), \qquad (6)$$

სადაც $\delta x(t;\delta\mu)$ არის წრფივი ოპერატორი $\delta\mu$ შეშფოთების მიმართ, ხოლო $o(t;\delta\mu)$ არის მაღალი რიგის უსასრულოდ მცირე $|\delta\mu|$ სიმცირესთან შედარებით თანაბრად t

მიმართ. დადგენილია $\delta x(t;\delta\mu)$ ოპერატორის ანალიზური სახე, რომელშიც გამოვლენილია შერეული საწყისი პირობის და საწყისი მონაცემების შეშფოთების ეფექტები. საწყისი მონაცემების ქვეშ იგულისხმება საწყისი მომენტის, ფაზურ კოორდინატებში შემავალი მუდმივი დაგვიანებების, უწყვეტად წარმოებად მართვაში შემავალი მუდმივი დაგვიანების, საწყისი ვექტორის, საწყისი და მართვის ფუნქციების ერთობლიობა. ამონახსნის წარმოდგენის ფორმულა (6) მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოპტიმალურობის აუცილებელი პირობების დამტკიცებისას [9, 19, 20, 32, 34, 45, 50, 58]. გარდა ამისა, ეს ფორმულები გამოიყენება შეშფოთებული განტოლების მიახლოებითი ამონახსნის მოძებნაში. ნაშრომში, სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ [36, 42, 56] -ში განხილული შემთხვევებისგან განსხვავებით: ერთის მხრივ- განტოლება შეიცავს ორი ტიპის მართვას, მეორეს მხრივ- საწყისი მონაცემების ასეთი ფართო კლასი შერეული საწყისი პირობის გათვალისწინებით, პირველად არის განხილული. ამონახსნის წარმოდგენის ფორმულები ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებისთვის, პირველად, დამტკიცებული იყო გამყრელიძის მიერ [20], ხოლო ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებების სხვადასხვა კლასებისთვის, როცა საწყისი მომენტი ფიქსირებულია დამტკიცებული იყო [9, 19, 45, 50] შრომებში. ამონახსნის წარმოდგენის ფორმულები და წყვეტილი საწყისი პირობის ეფექტები, საწყისი მომენტის ვარიაციის შემთხვევაში, პირველად, მიღებული და გამოვლენილი იყო თადუმაძის მიერ [53]. სხვადასხვა კლასის ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისთვის, საწყისი მომენტის ვარიაციის, წყვეტილი და უწყვეტი საწყისი პირობის გათვალისწინებით ამონახსნის წარმოდგენის ფორმულები დამტკიცებული იყო შრომებში [34, 52, 54, 57, 58]. პირველი თავის 1.1 პუნქტში მოყვანილია ამონახსნის წარმოდგენასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის თეორემები. თეორემების ტიპი დამოკიდებულია განტოლების მარჯვენა მხარის თვისებაზე, t_{00} და τ_0-ის ვარიაციათა კომბინაციაზე (მარჯვნიდან, მარცხნიდან, ორივე მხრიდან და ა. შ.). აქვე ჩამოწერილია შერეული საწყისი პირობისა და საწყისი მონაცემების შეშფოთების ეფექტები. გარდა ამისა, ამოწერილია განტოლება ვარიაციებში, რომელსაც აკმაყოფილებს ამონახსნის პირველი ვარიაცია; მოყვანილია შეშფოთებული განტოლების მიახლოებითი ამონახსნის ანალიზური სახე, აღწერილია მისი

მოძებნის ორი შესაძლებლობა. ამონახსნის ვარიაციის ფორმულა დაკონკრეტებულია წრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის. 1.2 და 1.3 პუნქტებში დადგენილია ამონახსნის ნაზრდის შეფასება t_{00} მომენტის მარცხნიდან და მარჯვნიდან ვარიაციის შემთხვევაში. სახელდობრ, დამტკიცებულია რომ ამონახსნის ნაზრდის შეფასება არის $|\delta\mu|$ რიგის. აღნიშნული შეფასებების საფუძველზე მომდევნო პუნქტებში 1.4 და 1.5-ში, [57]-ში მოყვანილი სქემის მიხედვით, დამტკიცებულია ამონახსნის წარმოდგენის ფორმულები.

თავი 2: სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის, ორი ტიპის მართვით და შერეული საწყისი პირობით, განხილულია ოპტიმიზაციის ამოცანა ზოგადი სასაზღვრო პირობებით და ფუნქციონალით. დამტკიცებულია საწყისი და საბოლოო მომენტების, დაგვიანების პარამეტრების, საწყისი ვექტორის, საწყისი და მართვის ფუნქციების. ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები. მიღებული შედეგები დაკონკრეტებულია ამოცანისთვის დამაგრებული ბოლოებით და ინტეგრალური ფუნქციონალით, წრფივი და სწრაფქმედების ამოცანისთვის. გარდა ამისა, განხილულია ოპტიმალური ამოცანა საბაზრო ურთიერთობის მოდელისთვის, რომლისთვისაც მიღებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები. ოპტიმალურობის აუცილებელი პირობა–პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპის ანალოგი სწრაფქმედების ოპტიმალური ამოცანისათვის ფიქსირებული საწყისი მომენტითა და დამაგრებული ბოლოებით, სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის ერთი მუდმივი დაგვიანებით ფაზურ კოორდინატებში, პირველად, დამტკიცებული იყო ხარატიშვილის მიერ ნაშრომში [32]. ამ შედეგის გავრცელებას ოპტიმიზაციის ამოცანებზე სხვადასხვა კლასის სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მათ შორის [1, 6, 9, 10, 12, 19, 21, 24, 34, 43, 45-51, 57, 60] განსხვავებით ზემოჩამოთვლილი შრომებისგან, ნაშრომში სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ აქ შერეული საწყისი პირობების ფონზე განიხილება ამოცანა, სადაც ტრადიციული საწყისი მონაცემების ოპტიმიზაციასთან ერთად მოითხოვება ოპტიმალურად შერჩევა როგორც ორი ტიპის მართვის, ასევე ფაზურ კოორდინატებსა და ერთ-ერთ მართვაში შემავალი დაგვიანების პარამეტრების.

2.1 პუნქტში განხილულია შემდეგი ამოცანა

$$\begin{cases} \dot{x}(t) = f(t, x(t), p(t-\tau), q(t-\sigma), u(t), u(t-\rho), v(t), v(t-\theta)), t \in [t_0, t_1], \\ x(t) = (\varphi(t), g(t))^T, \ t < t_0, \ x(t_0) = (p_0, g(t_0))^T, \\ z^i(t_0, t_1, \tau, \sigma, \theta, p_0, g(t_0), x(t_1)) = 0, i = 1, ..., l, \\ z^0(t_0, t_1, \tau, \sigma, \theta, p_0, g(t_0), x(t_1)) \to \min. \end{cases}$$

მოყვანილია $(t_0, t_1, \tau, \sigma, \theta, p_0, \varphi(t), g(t), u(t), v(t))$ ელემენტის ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები: ოპტიმალური t_{00}, t_{10}, τ_0-თვის უტოლობებისა და ტოლობების სახით. აღნიშნული სახეობები დამოკიდებულია ვარიაციის ტიპზე (მარცხნიდან, მარჯვნიდან, ორივემხრიდან); ოპტიმალური σ_0, θ_0-თვის ტოლობების სახით; ოპტიმალური $p_{00}, \varphi_0(t), g_0(t), u_0(t), v_0(t)$-თვის მაქსიმუმის პრინციპის სახით. გარდა ამისა, ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები მოყვანილია ოპტიმალური ამოცანისთვის შერეული საწყისი პირობით, დამაგრებული ბოლოებით და ინტეგრალური ფუნქციონალით; სწრაფქმედების ამოცანისთვის; წრფივი ამოცანისთვის. 2.2 პუნქტში განხილულია ოპტიმიზაციის ამოცანა შერეული საწყისი პირობით საბაზრო ურთიერთობის (1) მოდელისთვის. ჩამოყალიბებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები. 2.3 პუნქტში დამტკიცებულია ელემენტის ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები მარჯვნიდან ვარიაციის შემთხვევაში გამყრელიძე-ხარატიშვილის მეთოდით [34, 57], სახელდობრ, აგებულია ოპტიმიზაციის ამოცანის შესაბამისი ასახვა და დამტკიცებულია წერტილის კრიტიკულობა; გამოთვლილია ასახვის დიფერენციალი და კრიტიკულობის აუცილებელი პირობიდან გამოყვანილია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები.

ნაშრომში გამოყენებულია სამმაგი ნუმერაცია: პირველი ციფრი ნიშნავს თავის ნომერს, მეორე ციფრი-პუნქტის ნომერს, მესამე ციფრი-ფორმულის ნომერს.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია [2-5, 15,16, 26-31, 59] შრომებში, იგი მოხსენებული იყო მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე.

თავი I. ამონახსნის წარმოდგენის ლოკალური ფორმულები სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის შერეული საწყისი პირობით, დაგვიანებებით ფაზურ კოორდინატებსა და მართვებში

1.1. ამოცანის დასმა და ძირითადი შედეგების ფორმულირება

ვთქვათ, R^n არის $x=(x^1,...,x^n)^T$ წერტილების n–განზომილებიანი ვექტორული სივრცე, სადაც T სიმბოლო აღნიშნავს ტრანსპონირების ოპერაციას,

$$|x|^2=\sum_{i=1}^{n}(x^i)^2.$$

ვთქვათ,

$$s_{11}>s_{10}>s_{01}>s_{00},\ \tau_2>\tau_1>0,\ \sigma_2>\sigma_1>0,\quad \rho>0,\ \theta_2>\theta_1>0$$

მოცემული რიცხვებია ისეთი, რომ შესრულებულია უტოლობა

$$s_{10}-s_{01}>\max\{\tau_2,\sigma_2,\rho,\theta_2\}.$$

ვიგულისხმოთ, რომ

$$P\subset R^m,\ Q\subset R^k, U\subset R^r, V\subset R^l$$

არის ღია შემოსაზღვრული სიმრავლეები, ამასთან

$$x=(p,q)^T\in O=(P,Q)^T\subset R^n,\ n=m+k;$$

ვექტორ ფუნქცია

$$f(t,x,p_1,q_1,u,\omega,v,w)=(f^1(t,x,p_1,q_1,u,\omega,v,w),...,f^n(t,x,p_1,q_1,u,\omega,v,w))^T$$

უწყვეტია სიმრავლეზე $I\times O\times P\times Q\times U^2\times V^2$, სადაც $I=[s_{00},s_{11}]$ და უწყვეტად წარმოებადია x,p_1,q_1,u,ω,v,w ცვლადების მიმართ. Φ და G-თი აღვნიშნოთ, შესაბამისად, უწყვეტად წარმოებადი საწყისი ფუნქციების სიმრავლე

$$\varphi(t)\in P, t\in I_1=[\hat{\tau},s_{01}],\ \hat{\tau}=s_{00}-\max\{\tau_2,\sigma_2\}$$

და $g(t)\in Q, t\in I_1$. შემოვიღოთ მართვის ფუნქციების სიმრავლე: Ω არის უბან-უბან უწყვეტი $u(t)\in U, t\in I_2=[\hat{\rho},s_{11}], \hat{\rho}=s_{00}-\rho$ მართვის ფუნქციების სიმრავლე,

რომლებსაც აქვთ შემდეგი თვისება, $cl u(I_2)$ სიმრავლე კომპაქტია და შედის U -ში; W არის უწყვეტად წარმოებადი $v(t) \in V, t \in I_3 = [\hat{\theta}, s_{10}], \hat{\theta} = s_{00} - \theta_2$ მართვის ფუნქციების სიმრავლე. ყოველ

$$\mu = (t_0, \tau, \sigma, \theta, p_0, \varphi(t), g(t), u(t), v(t)) \in \Lambda = (s_{00}, s_{01}) \times (\tau_1, \tau_2) \times (\sigma_1, \sigma_2) \times (\theta_1, \theta_2)$$

$$\times P \times \Phi \times G \times \Omega \times W$$

ელემენტს შევუსაბამოთ სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლება

$$\dot{x}(t) = (\dot{p}(t), \dot{q}(t))^T = f(t, x(t), p(t-\tau), q(t-\sigma), u(t), u(t-\rho), v(t), v(t-\theta)) \qquad (1.1.1)$$

საწყისი პირობით

$$x(t) = (\varphi(t), g(t))^T, \ t \in [\hat{\tau}, t_0), \ x(t_0) = (p_0, g(t_0))^T. \qquad (1.1.2)$$

(1.1.2) ეწოდება შერეული საწყისი პირობა, იგი შედგება ორი ნაწილისგან: პირველი-წყვეტილი ნაწილი $p(t) = \varphi(t), \ t < t_0$, $p(t_0) = p_0$ სადაც საზოგადოდ $\varphi(t_0) \neq p_0$. წყვეტილობა საწყის მომენტში შეიძლება დაკავშირებული იყოს დინამიური პროცესის მყისიერ ცვლილებასთან (ინვესტიციის, გარემო პირობების, ვირუსების კონცენტრაციის და ა. შ. ცვლილებასთან); მეორე- უწყვეტი ნაწილი $q(t) = g(t), t \in [\hat{\tau}, t_0]$, რადგანაც ყოველთვის $q(t_0) = g(t_0)$.

განსაზღვრება 1.1.1. ვთქვათ $\mu \in \Lambda$. ფუნქციას $x(t) = x(t; \mu) \in O, t \in [\hat{\tau}, t_1], \ t_1 \in (s_{10}, s_{11})$ ეწოდება (1.1.1) განტოლების ამონახსნი (1.1.2) საწყისი პირობით ან μ ელემენტის შესაბამისი ამონახსნი განსაზღვრული $[\hat{\tau}, t_1]$ ინტერვალზე, თუ იგი აკმაყოფილებს (1.1.2) პირობას, ხოლო $[t_0, t_1]$ მონაკვეთზე აბსოლუტურად უწყვეტია და თითქმის ყველა (თ. ყ.) $t \in [t_0, t_1]$ აკმაყოფილებს (1.1.1) განტოლებას.

განტოლების მარჯვენა მხარეზე მოთხოვნილი პირობები, ყოველი ელემენტისთვის უზრუნველყოფს, ლოკალურად, შესაბამისი ამონახსნის არსებობას და ერთადერთობას ინტერვალზე $[\hat{\tau}, t_0 + \delta]$, სადაც $\delta > 0$ მცირე რიცხვია.

შემოვიღოთ აღნიშვნები:

$$|\mu| = |t_0| + |\tau| + |\sigma| + |\theta| + |p_0| + \|\varphi\|_1 + \|g\|_1 + \|u\| + \|v\|_1,$$

სადაც

$$\|\varphi\|_1=\sup\{|\varphi(t)|+|\dot{\varphi}(t)|: t\in I_1\},\ \|u\|=\sup\{|u(t)|: t\in I_2\}, \|v\|_1=\sup\{|v(t)|+|\dot{v}(t)|: t\in I_3\};$$

$\varepsilon>0$ და $\mu_0=(t_{00},\tau_0,\sigma_0,\theta_0,p_{00},\varphi_0(t),g_0(t),u_0(t),v_0(t))\in\Lambda$ არის ფიქსირებული რიცხვი და ელემენტი;

$t_{00},\tau_0,\sigma_0,\theta_0,p_{00},\varphi_0(t),g_0(t),u_0(t),v_0(t)$ და μ_0 -ის ვარიაცია ეწოდება, შესაბამისად, შემდეგს

$$\delta t_0=t_0-t_{00},\ \delta\tau=\tau-\tau_0,\ \delta\sigma=\sigma-\sigma_0,\ \delta\theta=\theta-\theta_0,$$

$$\delta p_0=p_0-p_{00},\delta\varphi(t)=\varphi(t)-\varphi_0(t),\ \delta g(t)=g(t)-g_0(t),\delta u(t)=u(t)-u_0(t),\delta v(t)=v(t)-v_0(t),$$

$$\delta\mu=\mu-\mu_0.$$

ცხადია,

$$\begin{cases} t_0=t_{00}+\delta t_0,\tau=\tau_{00}+\delta\tau,\sigma=\sigma_{00}+\delta\sigma,\theta=\theta_{00}+\delta\theta,p_0=p_{00}+\delta p_0,\\ \varphi(t)=\varphi_0(t)+\delta\varphi(t),g(t)=g_0(t)+\delta g(t),u(t)=u_0(t)+\delta u(t),v(t)=v_0(t)+\delta v(t),\\ \mu=\mu_0+\delta\mu; \end{cases} \qquad (1.1.3)$$

შემდეგ,

$$\Lambda_\varepsilon(\mu_0)=\{\mu\in\Lambda:|\mu-\mu_0|\le\varepsilon\},\ \Lambda_\varepsilon(\mu_0)-\mu_0=\{\mu-\mu_0:\mu\in\Lambda_\varepsilon(\mu_0)\};$$

$\Lambda_\varepsilon(\mu_0)-\mu_0$ შეიძლება ასე ჩავწეროთ

$$\Lambda_\varepsilon(\mu_0)-\mu_0=\{\delta\mu\in\Lambda-\mu_0:|\delta\mu|\le\varepsilon\}.$$

ვთქვათ $x_0(t)$ არის μ_0 ელემენტის შესაბამისი ამონახსნი განსაზღვრული ინტერვალზე $[\hat{\tau},t_{10}],\ t_{10}\in(s_{10},s_{11})$. არსებობს რიცხვები $\varepsilon_1>0$ და $\delta_1>0$ ისეთი, რომ ნებისმიერ $\mu\in\Lambda_{\varepsilon_1}(\mu_0)$ ელემენტს შეესაბამება ამონახსნი $x(t;\mu)$ განსაზღვრული $[\hat{\tau},t_{10}+\delta_1]$ ინტერვალზე, თანაც $(t_{10}-\delta_1,t_{10}+\delta_1)\in(s_{10},s_{11})$. (იხ. ლემა 1.2.2). ერთადერთობის ძალით ამონახსნი $x(t;\mu_0)$ არის $x_0(t)$ ამონახსნის გაგრძელება

$[\hat{\tau}, t_{10}+\delta_1]$ ინტერვალზე. ამიტომ შემდგომში ყოველთვის ვიგულისხმებთ, რომ $x_0(t)$ ამონახსნი განსაზღვრულია $[\hat{\tau}, t_{10}+\delta_1]$ ინტერვალზე. შემოვიღოთ $x_0(t)=x(t;\mu_0)$ ამონახსნის ნაზრდი

$$x(t;\mu_0+\delta\mu)-x_0(t):=\Delta x(t;\delta\mu),\ \delta\mu\in\Lambda_{\varepsilon_1}(\mu_0)-\mu_0, t\in[\hat{\tau}, t_{10}+\delta_1].$$

ამოცანა: ამონახსნის ნაზრდი $x(t;\mu_0+\delta\mu)-x_0(t)$ წარმოადგინეთ ორი შესაკრების სახით, სადაც პირველი შესაკრები იქნება წრფივი ოპერატორი $\delta\mu$ ვარიაციის მიმართ, ხოლო მეორე შესაკრები მაღალი რიგის უსასრულო მცირე

$$|\delta\mu|=|\delta t_0|+|\delta\tau|+|\delta\sigma|+|\delta\theta|+|\delta p_0|+|\delta\varphi\|_1+\|\delta g\|_1+\|\delta u\|+\|\delta v\|_1 \qquad (1.1.4)$$

სიდიდესთან შედარებით. ქვემოთ, მოყვანილი იქნება ხუთი ტიპის თეორემა, რომლებიც შეესაბამებიან t_{00}, τ_0 პარამეტრების ერთდროულად ვარიაციას მარცხნიდან ან მარჯვნიდან; t_{00} ვარიაციას მარცხნიდან ან მარჯვნიდან, ხოლო τ_0 ვარიაციას ორივე მხრიდან; t_{00}, τ_0 ვარიაციას ორივე მხრიდან. შევნიშნავთ, რომ ρ დაგვიანების პარამეტრის ვარიაცია არ ხდება, ხოლო σ_0 და θ_0 დაგვიანების პარამეტრების ვარიაცია, ყოველთვის ხდება ორივე მხრიდან.

თეორემა 1.1.1. ვთქვათ $x_0(t)$ არის μ_0 ელემენტის შესაბამისი ამონახსნი განსაზღვრული $[\hat{\tau}, t_{10}+\delta_1]$ ინტერვალზე. არსებობს ისეთი რიცხვი $\varepsilon_2\in(0,\varepsilon_1)$, რომ ნებისმიერი $t\in[t_{10}-\delta_1, t_{10}+\delta_1]$ და $\delta\mu\in\Lambda^-_{\varepsilon_2}(\mu_0)-\mu_0$ ადგილი აქვს ტოლობას

$$x(t;\mu_0+\delta\mu)=x_0(t)+\delta x^-(t;\delta\mu)+o(t;\delta\mu), \qquad (1.1.5)$$

სადაც

$$\Lambda^-_{\varepsilon_2}(\mu_0)-\mu_0=\left\{\delta\mu\in\Lambda_{\varepsilon_2}(\mu_0)-\mu_0:\ \delta t_0\le 0, \delta\tau\le 0\right\},$$

$$\delta x^-(t;\delta\mu)=Y(t_{00};t)(\delta p_0,\delta g(t_{00}))^T+\left\{Y(t_{00};t)[(\Theta_{m\times 1},\dot{g}_0(t_{00}))^T-f_0^-]-Y(t_{00}+\tau_0;t)f_{01}^-\right\}\delta t_0$$
$$-Y(t_{00}+\tau_0;t)f_{01}^-\delta\tau+\gamma(t;\delta\mu), \qquad (1.1.6)$$

$$\gamma(t;\delta\mu)=-\left\{\int_{t_{00}}^{t}Y(\xi;t)f_{p_1}[\xi]\dot{p}_0(\xi-\tau_0)d\xi\right\}\delta\tau-$$

$$-\left\{\int_{t_{00}}^{t} Y(\xi;t) f_{q_1}[\xi]\dot{q}_0(\xi-\sigma_0)d\xi\right\}\delta\sigma - \left\{\int_{t_{00}}^{t} Y(\xi;t) f_w[\xi]\dot{v}_0(\xi-\theta_0)d\xi\right\}\delta\theta + \int_{t_{00}-\tau_0}^{t_{00}} Y(\xi+\tau_0;t) f_{p_1}[\xi+\tau_0]\delta\varphi(\xi)d\xi +$$

$$+\int_{t_{00}-\sigma_0}^{t_{00}} Y(\xi+\sigma_0;t) f_{q_1}[\xi+\sigma_0]\delta g(\xi)d\xi + \int_{t_{00}}^{t} Y(\xi;t)(f_u[\xi]\delta u(\xi) + f_\omega[\xi]\delta u(\xi-\rho))d\xi +$$

$$+\int_{t_{00}}^{t} Y(\xi;t)(f_v[\xi]\delta v(\xi) + f_w[\xi]\delta v(\xi-\theta_0))d\xi\,; \qquad (1.1.7)$$

$$\lim_{\delta\mu\to 0}\frac{o(t;\delta\mu)}{|\delta\mu|}=0$$

თანაბრად $t\in[t_{10}-\delta_1, t_{10}+\delta_1]$ მიმართ;

$$f_0^- = f(t_{00}, x_0(t_{00}), \varphi_0(t_{00}-\tau_0), g_0(t_{00}-\sigma_0), u_0(t_{00}-), u_0(t_{00}-\rho-), v_0(t_{00}), v_0(t_{00}-\theta_0)),$$

$$f_{01}^- = f(t_{00}+\tau_0, x_0(t_{00}+\tau_0), p_{00}, q_0(t_{00}+\tau_0-\sigma_0), u_0(t_{00}+\tau_0-), u_0(t_{00}+\tau_0-\rho-),$$

$$v_0(t_{00}+\tau_0), v_0(t_{00}+\tau_{00}-\theta_0)) - f(t_{00}+\tau_0, x_0(t_{00}+\tau_0), \varphi_0(t_{00}), q_0(t_{00}+\tau_0-\sigma_0), u_0(t_{00}+\tau_0-),$$

$$u_0(t_{00}+\tau_0-\rho-), v_0(t_{00}+\tau_0), v_0(t_{00}+\tau_{00}-\theta_0)),$$

$$f_{p_1}[\xi] = f_{p_1}(\xi, x_0(\xi), p_0(\xi-\tau_0), q_0(\xi-\sigma_0), u_0(\xi), u_0(\xi-\rho), v_0(\xi), v_0(\xi-\theta_0)).$$

გარდა ამისა, $Y(\xi;t)$ არის $n\times n$ განზომილებიანი მატრიც-ფუნქცია , რომელიც (t_{00},t) ინტერვალზე აკმაყოფილებს მატრიცულ ფუნქციონალურ-დიფერენციალურ განტოლებას წინმსწრები არგუმენტით

$$Y_\xi(\xi;t) = -Y(\xi;t) f_x[\xi] - (Y(\xi+\tau_0;t) f_{p_1}[\xi+\tau_0]\, Y(\xi+\sigma_0;t) f_{q_1}[\xi+\sigma_0]), \xi\in(t_{00},t), \; (1.1.8)$$

ხოლო $[t,\infty)$ ინტერვალზე საწყის პირობას

$$Y(\xi;t) = \begin{cases} E_{n\times n}, \; \xi = t, \\ \Theta_{n\times n}, \xi > t, \end{cases} \qquad (1.1.9)$$

აქ $E_{n\times n}$ არის ერთეულოვანი მატრიცა, ხოლო- $\Theta_{n\times n}$ ნულოვანი მატრიცა.

ზოგიერთი კომენტარი. $\delta x^-(t;\delta\mu)$ ეწოდება $x_0(t)$ ამონახსნის პირველი ვარიაცია $t\in[t_{10}-\delta_1, t_{10}+\delta_1]$ ინტერვალზე. (1.1.6) წრფივ ოპერატორს, სადაც $\gamma(t;\delta\mu)$ აქვს (1.1.7) სახე ეწოდება ამონახსნის ვარიაციის ლოკალური ფორმულა. ნაშრომში, არსებით

სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება რომ ამონახსნის ვარიაციის ფორმულების დამტკიცებისას გარდა ადრე ცნობილი ვარიაციებისა, შერეული საწყისი პირობის ფარგლებში, გათვალისწინებულია ორი ტიპის მართვის და $v_0(t)$ მართვაში შემავალი დაგვიანების პარამეტრის ვარიაცია.

(1.1.6) ფორმულაში

$$Y(t_{00};t)(\delta p_0,\delta g(t_{00}))^T+\left\{Y(t_{00};t)[(\Theta_{m\times 1},\dot{g}_0(t_{00}))^T-f_0^-]-Y(t_{00}+\tau_0;t)f_{01}^-\right\}\delta t_0$$

გამოსახულება არის შერეული საწყისი პირობის ეფექტი.

$$\left\{Y(t_{00};t)[(\Theta_{m\times 1},\dot{g}_0(t_{00}))^T-f_0^-]-Y(t_{00}+\tau_0;t)f_{01}^-\right\}\delta t_0$$

არის საწყისი t_{00} მომენტის მარცხნიდან ვარიაციის ეფექტი.

$$Y(t_{00};t)(\delta p_0,\delta g(t_{00}))^T$$

არის საწყისი p_{00} ვექტორის და $g_0(t)$ საწყისი ფუნქციის ვარიაციის ეფექტი.

f_{01}^- არის $p_0(t)$-ს საწყის მომენტში წყვეტილობის ეფექტი,

ხოლო $(\Theta_{m\times 1},\dot{g}_0(t_{00}))^T$ არის $q_0(t)$-ს საწყის მომენტში უწყვეტობის ეფექტი.

(1.1.7) ფორმულაში

$$\left\{\int_{t_{00}}^{t}Y(\xi;t)f_{p_1}[\xi]\dot{p}_0(\xi-\tau_0)d\xi\right\}\delta\tau$$

არის τ_0 დაგვიანების პარამეტრის ვარიაციის ეფექტი.

(1.1.7) ფორმულაში

$$\left\{\int_{t_{00}}^{t}Y(\xi;t)f_{q_1}[\xi]\dot{q}_0(\xi-\sigma_0)d\xi\right\}\delta\sigma$$

არის σ_0 დაგვიანების პარამეტრის ვარიაციის ეფექტი.

(1.1.7) ფორმულაში

$$\left\{\int_{t_{00}}^{t}Y(t_{00};t)f_w[\xi]\dot{v}_0(\xi-\theta_0)d\xi\right\}\delta\theta$$

არის θ_0 დაგვიანების პარამეტრის ვარიაციის ეფექტი.

(1.1.7) ფორმულაში

$$\int_{t_{00}-\tau_0}^{t_{00}} Y(\xi+\tau_0;t) f_{p_1}[\xi+\tau_0]\delta\varphi(\xi)d\xi + \int_{t_{00}-\sigma_0}^{t_{00}} Y(\xi+\sigma_0;t) f_{q_1}[\xi+\sigma_0]\delta g(\xi)d\xi$$

არის საწყისი ფუნქციების ვარიაციის ეფექტი.

(1.1.7) ფორმულაში

$$\int_{t_{00}}^{t} Y(\xi;t)(f_u[\xi]\delta u(\xi)+ f_\omega[\xi]\delta u(\xi-\rho))d\xi$$

არის $u_0(t)$ მართვის ვარიაციის ეფექტი.

(1.1.7) ფორმულაში

$$\int_{t_{00}}^{t} Y(\xi;t)[f_v[\xi]\delta v(\xi)+ f_w[\xi]\delta v(\xi-\theta_0)]d\xi$$

არის $v_0(t)$ მართვის ვარიაციის ეფექტი.

განვიხილოთ წრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლება

$$\dot{x}(t)=A(t)x(t)+B(t)p(t-\tau)+C(t)q(t-\sigma)+ f(t),\ t\in[t_0,t_1] \qquad (1.1.10)$$

შერეული საწყისი პირობით

$$x(t)=(\varphi(t),g(t))^T,\ t\in[\hat{\tau},t_0),\ x(t_0)=(p_0,g(t_0))^T, \qquad (1.1.11)$$

სადაც $A(t), B(t), C(t)$ შესაბამისი განზომილების ინტეგრებადი მატრიც-ფუნქციებია, $f(t)$ ინტეგრებადი ვექტორ-ფუნქციაა; $t_0\in(s_{00},s_{01}), t_1\in(s_{10},s_{11})$.

ლემა 1.1.1 (კოშის ფორმულა ([57], გვ. 31)). ვთქვათ $t\in(t_0,t_1]$ ფიქსირებული წერტილია, ხოლო $x(t),t\in[\hat{\tau},t_1]$ არის (1.1.10)-(1.1.11) ამოცანის ამონახსნი. მაშინ იგი $[t_0,t]$ ინტერვალზე წარმოიდგინება ფორმულით

$$x(t)=S(t_{00};t)(p_0,g(t_0))^T + \int_{t_0-\tau}^{t_0} S(\xi+\tau;t)B(\xi+\tau)\varphi(\xi)d\xi + \int_{t_0-\sigma}^{t_0} S(\xi+\sigma;t)C(\xi+\sigma)g(\xi)d\xi +$$

$$+\int_{t_0}^{t} S(\xi;t)\, f(\xi)d\xi\ ,$$

სადაც $S(\xi;t),\xi \in [t_0,t],$ მატრიც-ფუნქცია აკმაყოფილებს განტოლებას

$$S_{\xi}(\xi;t) = -S(\xi;t)A(\xi) - (S(\xi+\tau;t)B(\xi+\tau)\ S(\xi+\sigma;t)C(\xi+\sigma)), \xi \in (t_{00},t)$$

და (1.1.9) პირობას .

ადვილი მისახვედრია, რომ

$$\delta x^{-}(t;\delta\mu) = \delta x_1^{-}(t;\delta\mu) + \delta x_2^{-}(t;\delta\mu),$$

სადაც

$$\delta x_1^{-}(t;\delta\mu) = Y(t_{00};t)\{(\delta p_0,\delta g(t_{00}))^T + [(\Theta_{m\times 1},\dot g_0(t_{00}))^T - f_0^{-}]\delta t_0\} - \left\{\int_{t_{00}}^{t} Y(\xi;t)\, f_{p_1}[\xi]\dot p_0(\xi-\tau_0)d\xi\right\}\delta\tau -$$

$$-\left\{\int_{t_{00}}^{t} Y(\xi;t)\, f_{q_1}[\xi]\dot q_0(\xi-\sigma_0)d\xi\right\}\delta\sigma - \left\{\int_{t_{00}}^{t} Y(t_{00};t)\, f_w[\xi]\dot v_0(\xi-\theta_0)d\xi\right\}\delta\theta +$$

$$+\int_{t_{00}-\tau_0}^{t_{00}} Y(\xi+\tau_0;t)\, f_{p_1}[\xi+\tau_0]\delta\varphi(\xi)d\xi + \int_{t_{00}-\sigma_0}^{t_{00}} Y(\xi+\sigma_0;t)\, f_{q_1}[\xi+\sigma_0]\delta g(\xi)d\xi +$$

$$+\int_{t_{00}}^{t} Y(\xi;t)(\, f_u[\xi]\delta u(\xi) + f_{\omega}[\xi]\delta u(\xi-\rho))d\xi + \int_{t_{00}}^{t} Y(\xi;t)[\, f_v[\xi]\delta v(\xi) + f_w[\xi]\delta v(\xi-\theta_0)]d\xi;$$

$$\delta x_2^{-}(t;\delta\mu) = -Y(t_{00}+\tau_0;t)\, f_{01}^{-}(\delta t_0 + \delta\tau)\,.$$

კოშის ფორმულის საფუძველზე დავასკვნით, რომ ფუნქცია

$$\delta x_1^{-}(t) = \begin{cases} (\delta\varphi(t),\delta g(t))^T, t \in [\hat\tau, t_{00}), \\ (\delta p_0,\delta g(t_{00}))^T, t = t_{00}, \\ \delta x_1^{-}(t;\delta\mu), t \in (t_{00}, t_{10}+\delta_1] \end{cases}$$

არის დიფერენციალური განტოლების

$$\delta\dot x(t) = f_x[t]\delta x(t) + f_{p_1}[t]\delta p(t-\tau_0) + f_{q_1}[t]\delta q(t-\sigma_0) - f_{p_1}[t]\dot p_0(t-\tau_0)\delta\tau - f_{q_1}[t]\dot q_0(t-\sigma_0)\delta\sigma -$$

$$- f_w[t]\dot{v}_0(t-\theta_0)\delta\theta + f_u[t]\delta u(t) + f_\omega[t]\delta u(t-\rho) + f_v[t]\delta v(t)$$

$$+ f_w[t]\delta v(t-\theta_0), t\in[t_{00}, t_{10}+\delta_1] \qquad (1.1.12)$$

ამონახსნი საწყისი პირობით

$$\delta x(t) = (\delta\varphi(t), \delta g(t))^T, t\in[\hat{\tau}, t_{00}), \ \delta x(t_{00}) = (\delta p_0, \delta g(t_{00}))^T. \qquad (1.1.13)$$

(1.1.12) ეწოდება განტოლება „ვარიაციებში“.

ფუნქცია

$$\delta x_2^-(t) = \begin{cases} 0, t\in[\hat{\tau}, t_{00}+\tau_0), \\ - f_{01}^-[\delta t_0 + \delta\tau], t = t_{00}+\tau_0, \\ \delta x_2^-(t;\delta\mu), t\in(t_{00}+\tau_0, t_{10}+\delta_1] \end{cases}$$

არის დიფერენციალური განტოლების

$$\delta\dot{x}(t) = f_x[t]\delta x(t) + f_{p_1}[t]\delta p(t-\tau_0) + f_{q_1}[t]\delta q(t-\sigma_0), \ t\in[t_{00}+\tau_0, t_{10}+\delta_1] \qquad (1.1.14)$$

ამონახსნი საწყისი პირობით

$$\delta x(t) = 0, t\in[\hat{\tau}, t_{00}+\tau_0), \ \delta x(t_{00}+\tau_0) = -f_{01}^-[\delta t_0 + \delta\tau]. \ (1.1.15)$$

(1.1.5) ფორმულა საშუალებას იძლევა $[t_{10}-\delta_2, t_{10}+\delta_2]$ ინტერვალზე ანალიზური სახით ვიპოვოთ

$$\mu = \mu_0 + \delta\mu =$$
$$= (t_{00}+\delta t_0, \tau_0+\delta\tau, \sigma_0+\delta\sigma, \theta_0+\delta\theta, p_{00}+\delta p_0, \varphi_0(t)+\delta\varphi(t), g(t)+\delta g(t), u_0(t)+\delta u(t),$$
$$v_0(t)+\delta v(t))$$

ელემენტის შესაბამისი შეშფოთებული კოშის ამოცანის

$$\dot{x}(t) = f(t, x(t), p(t-\tau_0-\delta\tau), q(t-\sigma_0-\delta\sigma), u_0(t)+\delta u(t), u_0(t-\rho)+\delta u(t-\rho),$$

$$v_0(t)+\delta v(t), v_0(t-\theta_0-\delta\theta)+\delta v(t-\theta_0-\delta\theta)),$$

$$x(t) = (\varphi_0(t)+\delta\varphi(t), g_0(t)+\delta g\ (t))^T, t\in[\hat{\tau}, t_{00}+\delta t_0),$$

$$x(t_{00}+\delta t_0) = (p_{00}+\delta p_0, g_0(t_{00}+\delta t_0)+\delta g(t_{00}+\delta t_0))^T$$

მიახლოებითი ამონახსნი.

მართლაც, საკმარისად მცირე $|\delta\mu|$-თვის (1.1.5) -დან დავასკვნით, რომ

$$x(t;\mu_0+\delta\mu)\approx x_0(t)+\delta x^-(t;\delta\mu), t\in[t_{10}-\delta_2, t_{10}+\delta_2]. \qquad (1.1.16)$$

ამონახსნის პირველი ვარიაცია შეიძლება ვიპოვოთ ორი ხერხით: პირველი- ვიპოვოთ მატრიც-ფუნქცია $Y(\xi;t)$ (იხ. (1.1.8)-(1.1.19)); მეორე- ვიპოვოთ (1.1.12)-(1.1.13) და (1.1.14)-(1.1.15) ამოცანების ამონახსნები.

განვიხილოთ წრფივი შემთხვევა.

ვთქვათ

$$f(t,x,p_1,q_1,u,\omega,v,w)=A_1(t)x+B_1(t)p_1+C_1(t)q_1+D_1(t)u+D_2(t)\omega+E_1(t)v+E_2(t)w+f_1(t),$$

სადაც კოეფიციენტები და თავისუფალი წევრი უწყვეტია I -ზე. ამ შემთხვევაში თეორემა 1.1.1-სთვის გვექნება

$$f_0^-=A_1(t_{00})x_0(t_{00})+B_1(t_{00})p_0(t_{00}-\tau_0)+C_1(t_{00})q_0(t_{00}-\sigma_0)+D_1(t_{00})u_0(t_{00}-)+D_2(t_{00}-\rho-)+$$

$$+E_1(t_{00})v_0(t_{00})+E_2(t_{00})v_0(t_{00}-\theta_0)+f_1(t_{00}),$$

$$f_{01}^-=B_1(t_{00}+\tau_0)(p_{00}-\varphi_0(t_{00}));$$

$$\gamma(t;\delta\mu)=-\left\{\int_{t_{00}}^{t}Y(\xi;t)B_1(\xi)\dot p_0(\xi-\tau_0)d\xi\right\}\delta\tau-$$

$$-\left\{\int_{t_{00}}^{t}Y(\xi;t)C_1(\xi)\dot q_0(\xi-\sigma_0)d\xi\right\}\delta\sigma-\left\{\int_{t_{00}}^{t}Y(\xi;t)E_0(\xi)\dot v_0(\xi-\theta_0)d\xi\right\}\delta\theta+\int_{t_{00}-\tau_0}^{t_{00}}Y(\xi+\tau_0;t)B_1(\xi+\tau_0)\delta\varphi(\xi)d\xi+$$

$$+\int_{t_{00}-\sigma_0}^{t_{00}}Y(\xi+\sigma_0;t)C_1(\xi+\sigma_0)\delta g(\xi)d\xi+\int_{t_{00}}^{t}Y(\xi;t)(D_1(\xi)\delta u(\xi)+D_2(\xi)\delta u(\xi-\rho))d\xi+$$

$$+\int_{t_{00}}^{t}Y(\xi;t)(E_1(\xi)\delta v(\xi)+E_2(\xi)\delta v(\xi-\theta_0))d\xi;$$

$$Y_\xi(\xi;t)=-Y(\xi;t)A_1(\xi)-(Y(\xi+\tau_0;t)B_1(\xi+\tau_0)\ \ Y(\xi+\sigma_0;t)C_1(\xi+\sigma_0)),\xi\in(t_{00},t).$$

თეორემა 1.1.2. ვთქვათ $x_0(t)$ არის μ_0 ელემენტის შესაბამისი ამონახსნი განსაზღვრული $[\hat{\tau}, t_{10}+\delta_1]$ ინტერვალზე. არსებობს რიცხვი $\varepsilon_2 \in (0, \varepsilon_1)$ ისეთი რომ, ნებისმიერი $t \in [t_{10}-\delta_1, t_{11}+\delta_1]$ და $\delta\mu \in \Lambda^+_{\varepsilon_2}(\mu_0)-\mu_0$ ადგილი აქვს ტოლობას

$$x(t;\mu_0+\delta\mu) = x_0(t) + \delta x^+(t;\delta\mu) + o(t;\delta\mu), \qquad (1.1.17)$$

სადაც

$$\Lambda^+_{\varepsilon_2}(\mu_0)-\mu_0 = \{\delta\mu \in \Lambda_{\varepsilon_2}(\mu_0)-\mu_0 : \delta t_0 \ge 0, \delta\tau \ge 0\},$$

$$\delta x^+(t;\delta\mu) = Y(t_{00};t)(\delta p_0, \delta g(t_{00}))^T + \{Y(t_{00};t)[(\Theta_{m\times 1}, \dot{g}_0(t_{00}))^T - f_0^+] - Y(t_{00}+\tau_0;t) f_{01}^+\}\delta t_0 -$$

$$-Y(t_{00}+\tau_0;t) f_{01}^+ \delta\tau + \gamma(t;\delta\mu). \qquad (1.1.18)$$

თეორემა 1.1.3. ვთქვათ $x_0(t)$ არის μ_0 ელემენტის შესაბამისი ამონახსნი განსაზღვრული $[\hat{\tau}, t_{10}+\delta_1]$ ინტერვალზე. გარდა ამისა, ფუნქციები $u_0(t)$ და $u_0(t-\rho)$ უწყვეტია წერტილში $t_{00}+\tau_0$. არსებობს ისეთი რიცხვი $\varepsilon_2 \in (0, \varepsilon_1)$, რომ ნებისმიერი

$$t \in [t_{10}-\delta_1, t_{10}+\delta_1] \text{ და } \delta\mu \in \hat{\Lambda}^-_{\varepsilon_2}(\mu_0)-\mu_0$$

ადგილი აქვს ტოლობას

$$x(t;\mu_0+\delta\mu) = x_0(t) + \delta\hat{x}^-(t;\delta\mu) + o(t;\delta\mu),$$

სადაც

$$\Lambda^-_{\varepsilon_2}(\mu_0)-\mu_0 = \{\delta\mu \in \Lambda_{\varepsilon_2}(\mu_0)-\mu_0 : \delta t_0 \le 0\},$$

$$\delta\hat{x}^-(t;\delta\mu) = Y(t_{00};t)(\delta p_0, \delta g(t_{00}))^T + \{Y(t_{00};t)[(\Theta_{m\times 1}, \dot{g}_0(t_{00}))^T - f_0^-] - Y(t_{00}+\tau_0;t) f_{01}\}\delta t_0$$

$$-Y(t_{00}+\tau_0;t) f_{01}\delta\tau + \gamma(t;\delta\mu),$$

$$f_{01}^- = f(t_{00}+\tau_0, x_0(t_{00}+\tau_0), p_{00}, q_0(t_{00}+\tau_0-\sigma_0), u_0(t_{00}+\tau_0), u_0(t_{00}+\tau_0-\rho),$$

$$v_0(t_{00}+\tau_0), v_0(t_{00}+\tau_{00}-\theta_0)) - f(t_{00}+\tau_0, x_0(t_{00}+\tau_0), \varphi_0(t_{00}), q_0(t_{00}+\tau_0-\sigma_0), u_0(t_{00}+\tau_0),$$

$$u_0(t_{00}+\tau_0-\rho), v_0(t_{00}+\tau_0), v_0(t_{00}+\tau_{00}-\theta_0)).$$

თეორემა 1.1.3 მტკიცდება თეორემა 1.1.1 -ის ანალოგიურად იმ განსხვავებით, რომ დამტკიცებისას ცალ-ცალკე განიხილება შემთხვევები $\xi \in [t_0 + \tau, t_{00} + \tau_0]$ (იხ. თეორემა 1.1.1 დამტკიცება) და $\xi \in [t_{00} + \tau_0, t_0 + \tau]$ (იხ. თეორემა 1.1.2 დამტკიცება).

თეორემა 1.1.4. ვთქვათ $x_0(t)$ არის μ_0 ელემენტის შესაბამისი ამონახსნი განსაზღვრული $[\hat{\tau}, t_{10} + \delta_1]$ ინტერვალზე. გარდა ამისა, ფუნქციები $u_0(t)$ და $u_0(t-\rho)$ უწყვეტია წერტილში $t_{00} + \tau_0$. არსებობს რიცხვი $\varepsilon_2 \in (0, \varepsilon_1)$ ისეთი რომ, ნებისმიერი $t \in [t_{10} - \delta_1, t_{10} + \delta_1]$ და $\mu \in \hat{\Lambda}^{+}_{\varepsilon_2}(\mu_0) - \mu_0$ ადგილი აქვს ტოლობას

$$x(t; \mu_0 + \delta\mu) = x_0(t) + \delta x^{+}(t; \delta\mu) + o(t; \delta\mu),$$

სადაც

$$\hat{\Lambda}^{+}_{\varepsilon_2}(\mu_0) - \mu_0 = \{\delta\mu \in \Lambda_{\varepsilon_2}(\mu_0) - \mu_0 : \delta t_0 \geq 0\},$$

$$\delta x^{+}(t; \delta\mu) = Y(t_{00}; t)(\delta p_0, \delta g(t_{00}))^T + \{Y(t_{00}; t)[(\Theta_{m\times 1}, \dot{g}_0(t_{00}))^T - f_0^{+}] - Y(t_{00} + \tau_0; t) f_{01}\}\delta t_0 -$$

$$- Y(t_{00} + \tau_0; t) f_{01}\delta\tau + \gamma(t; \delta\mu).$$

თეორემა 1.1.4 მტკიცდება თეორემა 1.1.2 -ის ანალოგიურად იმ განსხვავებით, რომ დამტკიცებისას ცალ-ცალკე განიხილება შემთხვევები $\xi \in [t_0 + \tau, t_{00} + \tau_0]$ (იხ. თეორემა 1.1.1 დამტკიცება) და $\xi \in [t_{00} + \tau_0, t_0 + \tau]$ (იხ. თეორემა 1.1.2 დამტკიცება).

თეორემა 1.1.5. ვთქვათ $x_0(t)$ არის μ_0 ელემენტის შესაბამისი ამონახსნი განსაზღვრული $[\hat{\tau}, t_{10} + \delta_1]$ ინტერვალზე. გარდა ამისა, ფუნქციები $u_0(t)$ და $u_0(t-\rho)$ უწყვეტია t_{00} და $t_{00} + \tau_0$ წერტილებში. არსებობს რიცხვი $\varepsilon_2 \in (0, \varepsilon_1)$ ისეთი რომ, ნებისმიერი $t \in [t_{10} - \delta_1, t_{10} + \delta_1]$ და $\delta\mu \in \Lambda_{\varepsilon_2}(\mu_0) - \mu_0$ -სთვის ადგილი აქვს ტოლობას

